დანართი 1

,, დამტკიცებულია”

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე

„———„ ,,————————————„ 2018 წ.

რექტორი:————————————გიორგი შარვაშიძე

# ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამა

# სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა.


**საკონტაქტო ინფორმაცია :**
ქ. ქუთაისი, ნიკეას მე–2 შესახვევი N 8
ტელ : 571-62 63 20;
593-36-30-29;
E-mail: e_chokheli@yahoo.com;
E-mail:datokb.@mail. com

**პროგრამის ხელმძღვანელები:**
**ეკა ჩოხელი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
,
**პროგრამის კოორდინატორი:**
**დავით კბილაშვილი**
ინჟინერიის აკადემიური დოქტორი


**თბილისი**
**2018 წელი**

1. **პროგრამის სახელწოდება :** სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა

2. **სარეგისტრაციო ნომერი :** 04113-პ

3. **პროფესიული სპეციალიზაცია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში/Fourth level vocational qualification in logistics

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“ (კოდი 0413).

4. **პროგრამის მიზანი:** სატვირტო გადაზიდვების სფეროსათვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრი, რომელმაც იცის სატრანსპორტო, სასაწყობო დოკუმენტაციის შევსება; ტვირთის შენახვა საწყობში; ნაშთების კონტროლი; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ზედამხედველობა; გადაზიდვების მონიტორინგი.

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

5. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

6. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:** კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: ტვირთების გადამზიდავ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოჯისტიკური ფირმებში. საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში, სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ასოციაციებში, სატრანსპორტო და საექსპედიციო ფირმებში, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსებში, სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ფირმებში, მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუტორო ფირმებში, გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში, საბაჟო ტერმინალური კომპლექსებში, სასაწყობო მეურნეობებში,საბაჟო საწყობებში.

7. **სტრუქტურა და მოდულები:**

მეოთხე საფეხურის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ მიმართულება განსაზღრავს ჯამურად **69** კრედიტის დაგროვებას, საიდანაც ზოგადი მოდულები **15** კრედიტია, სპეციალიზაციის დარგობრივი მოდულები **54** კრედიტი. ჩარჩო დოკუმენტის სპეციალიზაციის დარგობრივი მოდულების 70% მოიცავს პრაქტიკის კომპონენტია, ხოლო 30% თეორიულ კომპონენტი.

- **პროგრამის მოცულობა ქართლენოვანი სტუდენტებისათვის:**

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში პროფესიულმა სტუდენტმა ჯამურად უნდა დააგროვოს **69** კრედიტი, რომელთაგან:

**5 -** ზოგადი მოდული -**15** კრედიტი;

**11 -** სპეციალიზაციის დარგობრივი მოდული - **54** კრედიტი.

- **პროგრამის მოცულობა არქართლენოვანი სტუდენტებისათვის:**

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში პროფესიულმა სტუდენტმა ჯამურად უნდა დააგროვოს **99** კრედიტი, რომელთაგან:

**7 -** ზოგადი მოდული - **45** კრედიტი;

**11 -** სპეციალიზაციის დარგობრივი მოდული - **54** კრედიტი.

**მეოთხე საფეხურის მოდულები**

| ზოგადი მოდულები | | | |
|---|---|---|---|
| **№** | **მოდულისდასახელება** | **მოდულზედაშვებისწინაპირობა** | **კრედიტი** |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | ➢ საბაზო განათლება | **3** |
| 2 | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | ➢ საბაზო განათლება | **3** |
| 3 | მეწარმეობა 2 | ➢ საბაზო განათლება | **2** |
| 4 | რაოდენობრივი წიგნიერება | ➢ საბაზო განათლება | **2** |
| 5 | ინგლისური ენა | ➢ საბაზო განათლება | **5** |
| **ჯამი** | | | **15** |
| **სპეციალიზაციის დარგობრივი მოდულები** | | | |
| **№** | **მოდული სდასახელება** | **მოდულზე დაშვების წინაპირობა** | **კრედიტი** |
| 6 | გაცნობითი პრაქტიკა | ➢ საბაზო განათლება | **2** |
| 7 | ლოგისტიკის საფუძვლები | ➢ საბაზო განათლება | **5** |
| 8 | გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია | **მოდული:**<br>➢ ლოგისტიკის საფუძვლები | **4.5** |
| 9 | გადაზიდვის მომზადება | **მოდული:**<br>➢ ლოგისტიკის საფუძვლები | **4,5** |
| 10 | საწყობის ლოგისტიკა | **მოდული:**<br>➢ ლოგისტიკის საფუძვლები | **5** |
| 11 | საავტომობილო გადაზიდვები | **მოდული:**<br>➢ ლოგისტიკის საფუძვლები | **4** |
| 12 | საავიაციო გადაზიდვები | **მოდული:**<br>➢ ლოგისტიკის საფუძვლები | **4** |
| 13 | საზღვაო გადაზიდვები | **მოდული:**<br>➢ ლოგისტიკის საფუძვლები | **4** |
| 14 | სარკინიგზო გადაზიდვები | **მოდული:**<br>➢ ლოგისტიკის საფუძვლები | **6** |
| 15 | პრაქტიკული პროექტი | სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის პროგრამით გათვალისწინებული ყველა სპეციალიზაციის დარგობრივი მოდული, გარდა საწარმოო პრაქტიკისა | **3** |
| 16 | საწარმოო პრაქტიკა | **მოდული:**<br>➢ პრაქტიკული პროექტი | **12** |
| **ჯამი** | | | **54** |
| **სულ** | | | **69** |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის სწავლის შედეგები:**

**მეოთხე საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. დაგეგმოს სატვირთო გადაზიდვები;
2. გააფორმოს შეკვეთა;
3. განახორციელოს გადაზიდვების მონიტორინგი;
4. შეავსოს სატრანსპორტო დოკუმენტაცია;
5. გადაზიდვების დროს გამოთვალოს ლოგისტიკური დანახარჯები;
6. მიიღოს ტვირთი საწყობში;
7. გააკონტროლოს ნაშთები.

9. **ქართული ენის მოდულების გავლის შესახებ.**

„მოდულების, ქართულიენა A2 და ქართული ენა B1გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით."

10. **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს **პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.** შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

11. **პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდულიშესაძლებლობისადასპეციალურისაგანმანათლებლოსაჭიროებისმქონეპირთაპროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

*დანართები:*


დანართი 1-პროგრამა

დანართი 2- ზოგადი და სპეციალიზაციის დარგობრივი მოდულები;

დანართი 3 - ქართული ენის მოდულები

დანართი 4 - სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

დანართი 5 - სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

დანართი 6 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი


**ზოგადი მოდულები:**

2.1 ინფორმაციული წიგნიერება 2;
2.2 ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
2.3 მეწარმეობა 3;
2.4 რაოდენობრივი წიგნიერება;
2.5 ინგლისური ენა;

**სპეციალიზაციის დარგობრივი მოდულები:**

2.6 გაცნობითი პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა;
2.7 ლოგისტიკის საფუძვლები;
2.8 გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია;
2.9 გადაზიდვის მომზადება;
2.10. საწყობის ლოგისტიკა;
2.11. საავტომობილო გადაზიდვები;
2.12. საავიაციო გადაზიდვები;
2.13. საზღვაო გადაზიდვები;
2.14. სარკინიგზო გადაზიდვები;
2.15. პრაქტიკული პროექტი - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა;
2.16. საწარმოო პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა.

**ზოგადი მოდულები:** (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

3.1. ქართული ენა A2
3.2. ქართული ენა B1